ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 18 (19759) ხუთშაბათი, 22 იანვარი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა ორ-საშუალოვანი მუშაობის რეჟიმზე მრეწველობის საწარმოთა გადაყვანისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხი. აღნიშნა რა, პარტიული ორგანიზაციების მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული პრაქტიკული ღონისძიებანი, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ამ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ხარვეზებსა და შეცდომებს, ჯეროვანი სისტემურობის, თანმიმდევრობისა და მომთხოვნელობის უქონლობას. რესპუბლიკის პარტიულ კომიტეტებს, სამრეწველო საწარმოებს ხელმძღვანელობას, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს დაევალათ გაძლიერონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა ფუნქციონირების მრავალცალიან რეჟიმზე წარმატებული გადასვლის უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა და დაამტკიცა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია 1987 წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სამიედო ელექტრომომარაგების უზრუნველყოფა და სტიქიით დაზიანებული მალალი ძაბვის ელექტროგადამცემი და გამანაწილებელი ხაზების აღდგენა.

განიხილა რა ცხვრის გამოზამთრების შემოწმების შედეგები და ყიზლარის ზამთრის საძოვრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების დამატებით ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პარტიის ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის, ლენინგორისა და ჯავის რაიკომების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, ყიზლარის ზამთრის საძოვრების მართვის გაერთიანების, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მუშაობა ცხვრის გამოზამთრების მომზადებისა და მისი ორგანიზებული განხორციელებისათვის არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია.

დასახელებული რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარეები მკაცრად გააფრთხილეს ზამთრის პერიოდისათვის მზადებაში დაშვებული უხეში დარღვევებისა და ნაკლოვანებებისათვის. იმ მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა, რომლებსაც ბრალი მიუძღვით გამოვლენილ ნაკლოვანებებში, დაეკისრა საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს. დაისახა ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისა და ცხვრის გამოზამთრების ორგანიზებული მოწყობის ღონისძიებანი.

შრომის ორგანიზაციის რაციონალური ფორმებისა და სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საფუძველზე სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ამოცანები რომ განიხილა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სახაგრომრეწვს, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი და 1987 წლის დამლევამდე უზრუნველყონ კოლექტიური იჯარისა და სამეურნეო ანგარიშის პირობებზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათშორისო ორგანიზაციების გადაყვანა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაში წარმატებებისა და თვალის აბვევის ფაქტების საკითხი.

ამ საკითხის გამო მიღებული დადგენილების შინაარსი პრესაში გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო ცხოვრების სხვა საკითხებიც.

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲗ

თბილისის გაზის აპარატურის ქარხანაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. აქ თითოეულ საამქროში თუ უბანზე იღგწიან მოჯირნეობის რეჟიმისათვის, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისათვის, მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვისათვის, ყველა იმ საკითხის მოგვარებისათვის, რაც მნიშვნელოვნად გაუუჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

როგორც ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ალ. ლუარსაბიშვილმა გვითხრა, შარშანდელი წელი საწარმოს მშრომელებმა კარგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით დაამთავრეს, მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 4303 ათასი მანეთის ზროდუქცია მიაწოდეს, ხოლო რეალიზაციის წლიურ დავალებას 7993 ათასი მანეთით გადააჭარბეს. ზრდის ტემპმა 1985 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 114 პროცენტი შეადგინა. შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმაც 104,1 პროცენტით შესრულდა.

ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წელი დანადგარების განახლებით დაიწყო, საწნახ საამქროში დამონტაჟდა ახალი, 250-ტონიანი წნეხი და სამი ათტონიანი წნეხი, ეს კი მნიშვნელოვნად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას. ახლა თითოეული მშრომელი ზრუნავს მეტი აქტიურობა და მონდომება გამოიჩინოს და პირნათლად შეასრულოს იანვრის დავალებები, საწარმოს აქვს ამის მტკიცე საფუძველი. შრომითს საქმიანობაში დაწინაურდნენ მწნეხავი გ. პაქსაშვილი, მბურღავი ტ. კარმაზანაშვილი, ხარატი გ. ანდრიასოვი, მომმინანქრებელი ა. ზატუაშვილი, შემდუღებელი ნ. ქარდავა. ისინი ყოველდღიურ ნორმას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ. „კომუნისტის“ კორ.).

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲠᲔᲒᲘᲗ

ცხინვალი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა ახალი შემარნებით დაიწყო 1987 წელი. გასული დეკადა დიდნაყოფიერი შრომით აღინიშნა. ხარისხიანად შეკეთებული ავტომუსები გაეგზავნათ ბათუმელ და ცხინვალელ შემკვეთებს. პირველი ოცი დღის საგეგმო დავალება 110 პროცენტით შეასრულეს. შრომითს მეტოქეობაში კვლავ დაწინაურდნენ ძარების შემკეთებლები და ძრავების ამწყობები. გრაფიკის გასწრებით შრომობენ გ. ბერეაშვილი, ფ. გაზაევი, ე. ფარასტაევი, ხ. ცხოვრებოვი, მ. ხარებოვი და სხვები.

ცხინვალელი ავტოშემკეთებლები დამკვრელურად შრომობენ იმისათვის, რომ მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის დავალება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის შეასრულონ, ავტოსაწარმოს მიაწოდონ მხოლოდ საიმედოდ შეკეთებული ავტობუსები.

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘᲪ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲬᲕᲔᲚᲐᲓᲝᲑᲐ

ლაგოდეხის რაიონის ქალინინის სახელობის კოლმეურნეობამ დიდი გადამეტებით შეასრულა თამბაქოს, ხორცის, რძის, კვერცხის დამზადების შარშანდელი გეგმა-ვალდებულებანი. აქ განსაკუთრებით კარგი შედეგები აქვთ წველადობაში. საგეგმო 500 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 600 ტონაზე მეტი რძე მიჰყიდეს.

როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ე. დოკმასოვმა გვითხრა, ამ წარმატებებს განსაზღვრავს მტკიცე საკვები ბაზა, შიდასამეურნეო ანგარიში, კოლექტიური იჯარა და შრომის ანაზღაურების პროგრესული მეთოდის გამოყენება.

იჯარის წესით მუშაობს საკვებმომპოვებელთა ბრიგადა. მათ წლინახევრის საკმარისი უხეშში და წვნიანი საკვები დაამზადეს. რა თქმა უნდა, ამით ხელი შეეწყო სარძეო-სასაქონლო ბრიგადას, რომელიც ასეთივე მეთოდით მუშაობს. მწველავები ნადეკდა ტიმოფეევა, გალია რომანცოვა, ზაირა ალიევა და სურმაია გაშმოვა 16-16 ფიქრს უკლიან. მათ საგეგმო 2000-ის ნაცვლად შარშან თითოეულ ფურზე 2.500-3.000 კილოგრამი რძე მოწველეს, წლიურს იანვრის დავალება კი 2 დეკადაში შეასრულეს.

შიდასამეურნეო ანგარიშმა ანუ მანეთით კონტროლმა განაპარიმა შრომის პათოსი. აქაური მწველავები პირუტყვს სანიმუშოდ უვლიან, საკვებს აძლევენ მხოლოდ წინასწარ შემზადებულს, ყუთიანს, ულუფის მიხედვით. ყოველგვარი ეკონომია საკვების ხარჯვაში, მატება ცხიმიანობასა თუ პირუტყვის სუქებაში მომვლელის სასარგებლოდ ხელფასში აისახება.

კალინინელები სარწყავი მიწების პოტენციალის მარჯვე გამოყენებით, საკუთარი წარმოების უხვი საკვებით, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცებით მყარ საფუძველს უქმნიან როგორც წელევანდელი, ისე მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის გეგმა-ვალდებულებების შესრულებას.

ვლ. მჭედლიშვილი.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საწარმო თვითდაფინანსებით მუშაობს

სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პირობებში დაიწყო ხუთწლედის მეორე წელი გორის საწარმოო გაერთიანება „დილის“ ანალიზურ ხელსაწყოთა საცდელი ქარხნის კოლექტივმა.

გაერთიანების კოლექტივმა, რომელიც ემზადება სამეურნეო საქმიანობის ახალი პირობებისათვის, უპირველესი მნიშვნელობა მიანიჭა დიდ მომთხოვნელობას, დისციპლინას, დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობას, რიტმულობას, მომიჯნავეთა მოქმედების შეთანხმებულობას. ხელსაწყოთმშენებლებმა, რომლებიც აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს, მნიშვნელოვნად განაახლეს მოწყობილობა, სრულყვეს ტექნოლოგიური პროცესები. უკვე მიმდინარე წელს ათვისებენ ექვს ახალ ხელსაწყოს. ეს არის ავტომატური წყალსაზომი, წყალბადის გენერატორი, ხელსაწყო-ანალიზური კომპლექსი, რომელიც განკუთვნილია შაქრის ქარხლის ტემპერატურის განსაზღვრისათვის, მიმდინარე წელს ათი სახეობის ხელსაწყო გაეგზავნება ჩეხოსლოვაკიასა და ბულგარეთში, ვიეტნამსა და თურქეთში, კუბაში და მრავალ სხვა ქვეყანაში.

ხელსაწყოთმშენებლებმა, რომლებიც ნერგავენ ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიას, უკვე შექმნეს ფირფიტების ახალი უბანი, რომელმაც საშუალება მისცა აღარ შეიძინონ ფირფიტები სხვა ქარხნებიდან, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ქარხნის ფინანსურ მდგომარეობას. გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს 18 ახალი დიდმწარმოებლური რიცხვულ-პროგრამული მართვის ჩარხი.

საწარმოო გაერთიანება „დილის“ კოლექტივმა, გაშალა რა შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, გადაწყვიტა მიმდინარე წელს ეგეგმის გადაჭარბებით გამოუშვას 40 ათასი მანეთის ანალიზური ხელსაწყო.

სურათებზე: შრომისა და ხელფასის განაწილების მნარმავი ნაირა დოლიძე და სამეურნეო-ანგარიშიანი ბრიგადის ბრიგადირი დავით კუპატაძე ანგარიშობენ ამწყობთა ხელფასს მუშაობის ახალ პირობებზე; ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ჯაბ აფხაიძე, სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე ედუარდ ანასტასოვი და გასამართავი უნის ოსტატი ჯამბულ ელიკაშვილი ამოწმებენ ხაქალაქო ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ხელსაწყოების ხარისხს მომხმარებლისათვის გაგზავნის წინ.

შ. აივაზოვის ფოტო
(საინფორმაციო ფოტოქრონიკა).

ᲞᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲠᲔᲒᲘᲗ

ცხინვალი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა ახალი შემარნებით დაიწყო 1987 წელი. გასული დეკადა დიდნაყოფიერი შრომით აღინიშნა. ხარისხიანად შეკეთებული ავტობუსები გაეგზავნათ ბათუმელ და ცხინვალელ შემკვეთებს. პირველი ოცი დღის საგეგმო დავალება 110 პროცენტით შეასრულეს. შრომითს მეტოქეობაში კვლავ დაწინაურდნენ ძარების შემკეთებლები და ძრავების ამწყობები. გრაფიკის გასწრებით შრომობენ გ. ბერეაშვილი, ფ. გაზაევი, ე. ფარასტაევი, ხ. ცხოვრებოვი, მ. ხარებოვი და სხვები.

ცხინვალელი ავტოშემკეთებლები დამკვრელურად შრომობენ იმისათვის, რომ მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის დავალება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის შეასრულონ, ავტოსაწარმოს მიაწოდონ მხოლოდ საიმედოდ შეკეთებული ავტობუსები.

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘᲪ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲬᲕᲔᲚᲐᲓᲝᲑᲐ

ლაგოდეხის რაიონის ქალინინის სახელობის კოლმეურნეობამ დიდი გადამეტებით შეასრულა თამბაქოს, ხორცის, რძის, კვერცხის დამზადების შარშანდელი გეგმა-ვალდებულებანი. აქ განსაკუთრებით კარგი შედეგები აქვთ წველადობაში. საგეგმო 500 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 600 ტონაზე მეტი რძე მიჰყიდეს.

როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ე. დოკმასოვმა გვითხრა, ამ წარმატებებს განსაზღვრავს მტკიცე საკვები ბაზა, შიდასამეურნეო ანგარიში, კოლექტიური იჯარა და შრომის ანაზღაურების პროგრესული მეთოდის გამოყენება.

იჯარის წესით მუშაობს საკვებმომპოვებელთა ბრიგადა. მათ წლინახევრის საკმარისი უხეშში და წვნიანი საკვები დაამზადეს. რა თქმა უნდა, ამით ხელი შეეწყო სარძეო-სასაქონლო ბრიგადას, რომელიც ასეთივე მეთოდით მუშაობს. მწველავები ნადეკდა ტიმოფეევა, გალია რომანცოვა, ზაირა ალიევა და სურმაია გაშმოვა 16-16 ფიქრს უკლიან. მათ საგეგმო 2000-ის ნაცვლად შარშან თითოეულ ფურზე 2.500-3.000 კილოგრამი რძე მოწველეს, წლიურს იანვრის დავალება კი 2 დეკადაში შეასრულეს.

შიდასამეურნეო ანგარიშმა ანუ მანეთით კონტროლმა განაპარიმა შრომის პათოსი. აქაური მწველავები პირუტყვს სანიმუშოდ უვლიან, საკვებს აძლევენ მხოლოდ წინასწარ შემზადებულს, ყუთიანს, ულუფის მიხედვით. ყოველგვარი ეკონომია საკვების ხარჯვაში, მატება ცხიმიანობასა თუ პირუტყვის სუქებაში მომვლელის სასარგებლოდ ხელფასში აისახება.

კალინინელები სარწყავი მიწების პოტენციალის მარჯვე გამოყენებით, საკუთარი წარმოების უხვი საკვებით, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცებით მყარ საფუძველს უქმნიან როგორც წელევანდელი, ისე მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის გეგმა-ვალდებულებების შესრულებას.

ვლ. მჭედლიშვილი.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲕᲘᲧᲝᲗ ᲛᲝᲛᲖᲘᲠᲜᲔᲚᲜᲘ!

როგორ ვიყენებთ ენერგიას?

ამიერკავკასიის რეგიონში ენერგობალანსის დიდი დაძაბულობის პირობებში ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის ენერგიით უზრუნველყოფა ჯერჯერობით დამაკმაყოფილებელია. უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის ეკონომიკის დარგების აბსოლუტური უმეტესობა სერიოზულად მოეკიდა საქმეს და ანზორაციელებს ენერგიის მომჭირნედ ხარჯვასთან დაკავშირებული ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის მრავალ ღონისძიებას. ენერგოზედამხედველობა კი სისტემატურად აკონტროლებს დასახულ ღონისძიებათა შესრულების მსვლელობას.

მიზანმიმართული მუშაობა, რომელიც ამ მხრივ მეთორმეტე ხუთწლედში დაიწყო, ხელშესახებ შედეგებს იძლევა. შარშან ელექტროენერგიის ეკონომიურ ხარჯვასთან დაკავშირებული სოციალისტური ვალდებულება რესპუბლიკამ 110 პროცენტით, ხოლო თბოენერგიისა — 150 პროცენტით შეასრულა. საერთოდ, შარშან რესპუბლიკის მომმხმარებლებს 17369 მილიონი კილოვატსაათი ენერგია მიაწოდეს, რაც 3,7 პროცენტით აღემატება შარშანწინდელ მაჩვენებელს.

მიმდინარე წლის იანვრის 18 დღეში ელექტროენერგიის მოთხოვნამ 969 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა. ამასთან, ზემოხსენებულ პერიოდში ლიმიტით გათვალისწინებულ ენერგიაზე მნიშვნელოვნად მეტი არ გადაუხარჯავს არც ერთ ქალაქს, რაიონსა და დიდ საწარმოს, რაც მისასალმებელი ფაქტია, თუმცა, რამდენიმე საწარმოში მაინც აღმოჩნდა ენერგიის არარაციონალური გამოყენების ფაქტი. მათ შორის არიან წნორის საცდელ-ექსპერიმენტული, რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო, ალგეთის, თამარისის, მარნეულის და წნორის საკონსერვო ქარხნები, კაჭრეთის ღვინის ქარხანა, მცხეთის ღვინის ქარხნის ლენინგორის ფილიალი, გარდაბნის რაისამრეწველო კომბინატი, ქ. ზუგდიდის თბომეურნეობა, მცხრეულის რაიონული საავადმყოფო, ზუგიერთი სხვა საწარმო, დროა ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა გიგორ, რომ აიარათიანი გარჯა პარტიის უმთავრესი მოთხოვნაა და ამის შესრულება მათ აღარ უნდა სჭირდებოდეთ.

პირველი კვარტალი ძალიან დაძაბული იქნება, მაგრამ თუ ყველა საწარმო და ორგანიზაცია გამოიჩენს აიარათიანობას, როგორმე დავძლევთ სირთულეებს. ამ საქმეს ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობამაც. რატომ უნდა ენთოს ბინის ოთახებში ნათურები, როცა ის არ სჭირდებათ?

პირველ კვარტალში ელექტროენერგიაზე მოთხოვნა 5030 მილიონ კილოვატსაათს მიაღწევს. როგორ უზრუნველვყოფთ ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილებას? საკუთარი საშუალებებით გამოვიმუშავებთ 3765 მილიონ კილოვატსაათს, 1265 მილიონ კილოვატსაათს კი რესპუბლიკის მეზობელი ენერგოსისტემიდან მივიღებთ.

ბევრს აინტერესებს, თუ რატომ შეიქმნა დაძაბულობა ელექტროენერგიით რესპუბლიკის მომმარაგებლის მხრივ. დავიწყოთ იმით, რომ სარეგულირებელ ჰიდროელექტროსადგურებში შარშან, ნოემბრის დამდეგისათვის წყლის დიდი ნაკლებობა იგრძნობოდა. ვერ მუშაობდა სტაბილურად ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ მდგომარეობა ამ ელექტროსადგურში თანდათანობით სწორდება. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ სადგური ახლა დღე-ღამეში 1,8 მილიონ კილოვატსაათ ენერგიას იძლევა. შარშან შესაბამის პერიოდში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 0,5 მილიონ კილოვატსაათს შეადგენდა. დეფიციტის მიზეზია ისიც, რომ ავარიის გამო აღარ მოქმედებდნენ სომხეთის ატომური და აზერბაიჯანის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურები, რომლებიც ადრე ენერგიის გარკვეულ ნაწილს გვაწვდიდნენ. თუმცა, არც ეს ავარია გამხდარა ჩვენი ენერგოდაძაბულობის დიდი მიზეზი. ამ დანაკლისს გვინაზღაურებდა ჩრდილოეთ კავკასიის თბოელექტროსადგური, მაგრამ გასული წლის 23 დეკემბერს კავკასიონის გადამცემი ხაზი დაზიანდა და ამან, ცხადია, დააქვეითა ენერგოსისტემის მუშაობის საიმედოობა.

ასეთი ავარია კავკასიონზე 1985 წლის თებერვალშიც მოხდა. ზვავებმა დაზიანა გადამცემი ხაზების საყრდენები. მაშინ აქ დროებით დაიდგა სპეციალური თოვლდამცველი ფარები, რამაც უზრუნველყო შეუფერხებელი მუშაობა 1985-1986 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონში, როგორც ჩანს, ეს დამცავი ნაგებობა არ აღმოჩნდა ეფექტიანი, ვერ გაუძლო წლევანდელ დიდთოვლობას.

მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსწორებისათვის. სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრის ბრძანებით კავკასიონის მთავარ ქედზე დაზიანებული ხაზის აღდგენისათვის იწყება სამუშაოები, რომლებიც მიმდინარე წლის მესამე კვარტალში უნდა დამთავრდეს. ყველაფერი ეს ძალიან რთული იქნება, მაგრამ სხვა გამოსავალი ჯერჯერობით არ არის. საამისოდ გამოყოფილია 3984 ათასი მანეთი. სამუშაოების შესრულება დავალებული აქვს სამინისტროს მრავალ ორგანიზაციას და უპირველესად „კავკასელექტროქსელმშენის“ ტრესტს.

მდგომარეობა, როგორც ხედავთ, ძალიან დაძაბულია, მაგრამ თუ დავიცავთ ენერგიის მოხმარების ლიმიტს, შევასრულებთ „საქმთავარსენერგოს“ მოთხოვნებს, გავუფრთხილდებით ყოველ კილოვატსაათ ენერგიას, შეუფერხებლად გამოვიზამთრებთ.

შ. ამაშუკელი.

ᲓᲐᲕᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ ᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲣᲜᲕᲐ!

მოწდომეგა საქმეს აღგეგა

რკინიგზაზე ვაგონების მოცდენასთან დაკავშირებული არასახარბიელო მდგომარეობა თანდათანობით უმჯობესდება. ეს იმიტომ ხდება, რომ ახლა ტვირთის მიმღებთა უმეტესობა საქმეს სერიოზულად, მონდომებითა და პასუხისმგებლობით ეკიდება, დღეს გასაკეთებელს ხვალისათვის არ გადადებენ ხოლმე. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ დროულად დაცლილი ვაგონი ისევ სწრაფად იტვირთება და იგზავნება სხვადასხვა მიმართულებით. ქვეყნის ათასობით მომხმარებელს დროულად უნდა მივაწოდოთ სახალხო-სამეურნეო საქონელი, ნედლეული, მასალები. დროულად გადმოტვირთული ვაგონი ეკონომიკის წინსვლის ძალაა. განა ღირსებისა და პრესტიჟის საქმე არ არის, რესპუბლიკიდან მომხმარებელს დათქმულ ვადებში გავუგზავნოთ ტვირთი? ეს დაგვეხმარება მეთორმეტე ხუთწლედისა და მომდევნო წლების რთული სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში.

19 იანვარს რესპუბლიკაში დაუცლელი დარჩა 22 ვაგონი, ხოლო 20 იანვარს — 16 ვაგონი. ვაგონები დაუცლელი დარჩათ: საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს — 1. „საქმთავარწყალმშენს“ — 7, ცეკავშირს — 1, საპნის ქარხანას — 4, ამათგან სამი ვაგონი — თბილისში, ერთი ვაგონი — ველის სადგურში. 20 იანვარს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ ვერ გადმოცალა 6 ვაგონი, ცეკავშირმა — 2, საპნის ქარხანამ — 2, „საქჰიდროენერგომშენმა“— 14, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ — 1.

სსრ კავშირის ეკონომიკისა და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტით ტვირთზიდვა რკინიგზის ტრანსპორტზე 8-10 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ამ დიდმნიშვნელოვანი დავალების რეალიზაციაში ერთ-ერთი მთავარი როლი მატარებელთა სიჩქარის ზრდამ და ვაგონთა ბრუნვის დაჩქარებამ უნდა შეასრულოს, ვაგონების დაყოვნებით კი ვერ შეძლებთ დასახული ამოცანების განხორციელებას.

(„კომუნისტის“ კორ.).

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია გაიხსნება 1987 წლის 24 იანვარს 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 22 და 23 იანვარს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ტელეფონები: 99-74-07, 99-92-79.

24 იანვარს რეგისტრაცია იწარმოებს 8 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1987 წლის 24 იანვარს 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ბ. ხ. ემირიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გურამ ხუსეინის ძე ემირიძე დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი.
1987 წლის 21 იანვარი.

კომკავშირული ყრილობის შესახებ

ხაზზე მეტრო-მუშებმა ინიციატივა!

რესპუბლიკის იმ საწარმოთა შორის, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს გასული, 1986 წლის გეგმა-ვალდებულებანი, არის სამშენებლო სამმართველო „თბილისგვირაბმშენი“. მისმა კოლექტივმა ხუთწლედის პირველი წლის წარმატებებს ჯერ კიდევ წინა ხუთწლედში ჩაუყარა საფუძველი, კერძოდ, ამ ბოლო წლების მანძილზე 39 ობიექტი ჩააყენა მწყობრში გეგმით გათვალისწინებული 29-ის ნაცვლად. მათგან უმნიშვნელოვანესია რკინა-ბეტონის ქარხნის კომპლექსი 50 ათასი კუბური მეტრი ბეტონის და 2000 კუბური მეტრი რკინა-ბეტონის საწარმოო სიმძლავრით, ლითონ-კონსტრუქციების საამქრო, 1750 მეტრი სიგრძის რიკოთის საავტომობილო გვირაბი, 17 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზა თუშეთის აუთვისებელი საძოვრებისაკენ, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი რუხის დასახლებაში, საცხოვრებელი სახლები და მეტროპოლიტენის მესამე რიგი სამი სადგურით და სავაგონო დეპოს კომპლექსით.

ამ წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით ახალგაზრდებს, რომლებმაც გამოცდილ გვირაბგამყვანთა გვერდით დაძლიეს სიძნელეები და პირნათლად შეასრულეს „თბილისგვირაბმშენის“ XII კომკავშირულ კონფერენციაზე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება მეტროს მესამე რიგის ვადამდე ამოქმედების შესახებ.

კოლექტივი, სადაც ერთმანეთის მხარდამხარ თავდადებით შრომობენ 19 ეროვნების ახალგაზრდები, დღეს დიდი და პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგას, კერძოდ, მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის გეგმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისთვის უნდა შესრულდეს და, რაც მთავარია, ხუთწლედის მანძილზე მგზავრები მიიღოს მეტროს კიდევ რამდენიმე სადგურმა — „ავჭალის გზატკეცილმა“, „გლდანმა“, „ვაჟა-ფშაველამ“ და „ბაბტრიონმა“.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე უდიდესი მასშტაბის ცვლილებებმა, რომელთა მიზანია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე დაყრდნობით სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დაჩქარება, თავისებური გამოხატულება ჰოვა ახალგაზრდა მეტროშენებელთა საქმიანობაშიც, რაც სამუშაოს სპეციფიკურობითაც არის გამოწვეული. მშენებლობაზე ტემპის დაჩქარებისა და მოცულობის ზრდის დღის წესრიგში დაყენებას სოციალისტური შეჯიბრების ფორმებისა და მეთოდების შეცვლა და სრულყოფა მოჰყვა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შეჯიბრების საჯაროობისა და შედეგების შესადარობის პრინციპებს, მოწინავეთა გამოცდილების შესწავლა-დანერგვას. ამან თავის მხრივ გააქტიურა ახალგაზრდების პოზიცია, გაზარდა მათი პასუხისმგებლობა მშენებლობაზე საპრობლემო საკითხების გადაწყვეტისას და სხვა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა მეტრომშენებლებმა არაერთ კარგ ინიციატივასა და წამოწყებას ჩაუყარეს საფუძველი. ამჟამად „თბილისგვირაბმშენის“ 16 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა შრომობს საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატის თ. გოგიაშვილის რგოლის მიერ გამოჩენილი ინიციატივის მიხედვით — „საკავშირო კომკავშირის XX ყრილობას — 20 დამკვრელური კვირა.“ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ნ. თამაზაშვილის, ა. ლუტაძის, რ. პაპავას რგოლები. მათ არა მარტო მხარი აუბეს ინიციატივას, არამედ კარგ წარმატებებაც მიიღწიეს.

— რგოლი, რომელსაც ახალგაზრდა კომუნისტი და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი თემურ გოგიაშვილი ხელმძღვანელობს, მართლაც ბევრი კარგი წამოწყების სულისჩამდგმელია, — ამბობს „თბილისგვირაბმშენის“ კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნ. არობელიძე. — მისი ათკაციანი რგოლი 32-ე გვირაბგამყვანთა რაზმშია გაერთიანებული, რომელიც ამჟამად 51-ე შახტში მუშაობს მეტრო სადგურ „ვაჟა-ფშაველას“ ხაზის გაგრძელებაზე. ახალგაზრდა მეტროშენებლებმა კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ჯერ კიდევ ვაგზლის მოედნის, ღრმა ღელის, თემქისა და სავაგონო დეპოს განშტოების გვირაბების მშენებლობაზე, მოკლე დროში შეძლეს მიეღწიათ პროფესიული ოსტატობისათვის, რაც არაერთხელ დაადასტურეს თავიანთი წარმატებებით.

რგოლი საგრძნობლად უსწრებს წინ წლიური გეგმის გრაფიკს, გასული თვის ანგარიშში მათ გაიყვანეს 23 გრძივი მეტრი დამმარე გვირაბი, დამონტაჟდა ქანსაზიდი მოწყობილობა, ახლახან კი დაიწყო გაყვანითი სამუშაოები. მოსამზადებელია წყალშემკრები აუზი, ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობი, ბეტონის მისაღები განყოფილება, ელმავლების დასატენი განყოფილება და, როგორც თვითონ თ. გოგიაშვილიც აღნიშნავს, 4-5 თვეში აქ ძირითადი სამუშაოები დაიწყება, მანამდე კი რელიეფის მომზადება უნდა დამთავრდეს. მშენებლობის ტემპის დაჩქარების მიზნით სადგურში შესვლა სამი მხრიდან მიმდინარეობს, სამუშაოები წარმოებს გაუმჯობესებული ტექნიკური აღჭურვილობის მქონე ქანსაწმენდი და ბეტონჩამოსასხმელი მანქანებით, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ხელით შესასრულებელი სამუშაოები.

მაგრამ პრობლემები, ისევე როგორც ყველა მშენებლობაზე, აქაც იჩენენ ხოლმე თავს. კერძოდ, არ არის საკმარისი რაოდენობის თვითსარეგი მანქანები, მოძველებულია სპეციტანსაცმელი, ხანდახან ირღვევა საშენ მასალათა შემოზიდვის პერიოდულობაც. მაგრამ ახალგაზრდა მშენებლები სიძნელეებს არ უშინდებიან, რომელიმე აგრეგატის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში თავად არემონტებენ დაზიანებულ ნაწილებს.

— სხვებთან შედარებით ჩვენი ახალგაზრდები რამდენიმე პროფესიას არიან დაუფლებული, — გვეუბნება სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი და ახალგაზრდობის ერთ-ერთი საუკეთესო დამრიგებელი ალ. დათაშვილი, — გამოცდილი მეტრომშენებელი თანაბრად ენდა იყოს ამფეთქებელიც, მბურღავიც, მებეტონიც, იზოლაციაზე მომუშავეც, გამყვანიც, რკინიგზის დამგიბელიც და მემონტაჟეც. ასე რომ, ჩვენი სამუშაო უაღრესად დიდ სიმტკიცესა და ნებისყოფას მოითხოვს. ჩვენს ახალგაზრდებს კი ნამდვილად შესწევთ უნარი სირთულეების დაძლევისა, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებთ.

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს ქვეყანაში დაინერგა ერთთაღიანი მეტროს სადგურების მშენებლობის მეთოდი. ახალგაზრდებმა კარგად აითვისეს სიახლე და ახალ სამეურნეო წელსაც გადიდებული ვალდებულებებით შრომობენ.

მ. მიქელაძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უურნალისტიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

ვიმუშაოთ უზარალოდ

ხანგრძლივი დროის მანძილზე აჭარაში პრაქტიკულად თვითდინებაზე იყო მიშვებული მუშაობა წარმოებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, რამაც დიდი ზარალი მიაყენა ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას, ავარიებისა და უბედური შემთხვევების მიზეზი გახდა. ეს აღნიშნეს აჭარის ასს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებმა, რომელზეც განიხილეს დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცების, წარმოებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების პრობლემა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. ხ. ემიროძემ თავის მოხსენებაში და სხვა ორატორებმა პრინციპულად შეაფასეს შექმნილი ვითარება, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი რაჟაკლია იმისათვის, რომ სათანადო დონეზე იყოს.

უსაფრთხოების წესების ელემენტარული მოთხოვნების უგულებელყოფის, უდისციპლინობის, უპასუხისმგებლობის, ტექნიკის გამოყენების კულტურის დაბალი დონის შედეგად აჭარის სამრეწველო საწარმოებში, სამშენებლოდ და სატრანსპორტო ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არაერთხელ ყოფილა საწარმოო ტრავმატიზმის ფაქტები.

კვლავ სავალალო მდგომარეობაა ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებზე, რაც უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაობის ნაკლოვანებათა შედეგია. სახანძრო უსაფრთხოების განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელების მიუხედავად ამ მხრივ მუშაობაც ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.

გააანალიზეს რა მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების მიზეზები, კრებამ მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უნდა გაიზარდოს მინდობილი უბნისათვის კომუნისტი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა. აღინიშნა, რომ უნდა განმტკიცდეს დისციპლინა ყველგან და ყველაფერში, გაძლიერდეს პარტიული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების გავლენა წარმოებაში ყველა თხოვრების უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტაზე.

აქტივის კრებამ [illegible] შვნელოვან საქმეებ[illegible] ბათა აღმოფხვრის, ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოებსა და მეტრნეობებში ავარიებისა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილებისათვის მთელი მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის კონკრეტული ღონისძიებანი.

კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე.

აბაშელ მეცხოველეთა წარმატებებში თავიანთი წვლილი შეაქვთ კეთილარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომბლექსის მშრომელებს.

მოწინავეთა შორის არის საბბორე განყოფილების კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრი, სკკპ წევრობის კანდიდატი ქეთევან ხორავა, რომელიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა მეურნეობაში და მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ქეთევანი 50 ხბოს უვლის. ხბორების საღღეღამისო წონამატება დაგეგმილი 250 გრამის ნაცვლად 450-500 გრამს აღემატება.

✦ ✦

სურათზე: ქეთევან ხორავა.

ვ. გენგიურის ფოტო.

ნლის დამდეგიდანვე — დამკვრელურად

სამტრედიის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 70 წლისთვის ღირსეულად შეხვედრისათვის და გადიდებული ვალდებულებები აიღეს.

თუ როგორ ირჯებიან ამ ვალდებულების უთუო რეალიზაციისათვის ახალი წლის დამდეგიდანვე რაიონის მიწათმოქმედნი და მეცხოველეები, ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის“ კორესპონდენტი გ. ნოდია ესაუბრა საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველ მდივანს თამაზ იმედაძეს. აი, რა თქვა მან:

სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში საზოგადოებრივ მეურნეობებს დიდ დახმარებას უწევენ უგანრიგო ბრიგადები და რგოლები. კოლექტიური იჯარა სულ უფრო ფართოდ იკაფავს გზას. მუშაკთა შრომის ანაზღაურება პირდაპირ არის დაკავშირებული ზის საბოლოო შედეგებზე, წარმოებულ პროდუქციაზე. კოლექტიურმა იჯარამ ხელი შეუწყო კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების შემოქმედებითი აქტიურობის გაძლიერებას, უფრო დიდი ჰაჰვენებლების მიღწევას შრომაში, რეზერვების სრულ ამოქმედებას. გაიზარდა დაინტერესება, განმტკიცდა დისციპლინა, გაძლიერდა ურთიერთთანადგომა, ხდება ძირეული გარდაქმნა მეურნის აზროვნებასა და ფსიქიკაში. ამის შედეგად, მოუხედავად მეტად არაჩვეულებრივი ამინდებისა, შარშან მიღწეულია პოზიტიური შედეგები, ყველა კატეგორიის მეურნეობებში გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საგეგმო დავალებები.

ახლა საზოგადოებრივ მეურნეობებში აქტიურად მუშაობენ ყოლექტიური იჯარის ფარგოდ დასანერგავად. ამ საქმეს მეტი გულისყურით ეკიდებიან მებოსტნეები, წლეულს მათ მეტად საპატიო და პასუხსაგები ამოცანა აქვთ გადასაწყვეტი. უნდა აწარმოონ ნ. ეროსეანდეტი გ. ნოდია ესაუბრა საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველ მდივანს თამაზ იმედაძეს. აი, რა თქვა მან:

სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში საზოგადოებრივ მეურნეობებს დიდ დახმარებას უწევენ უგანრიგო ბრიგადები და რგოლები. კოლექტიური იჯარა სულ უფრო ფართოდ იკაფავს გზას. მუშაკთა შრომის ანაზღაურება პირდაპირ არის დაკავშირებული ზის საბოლოო შედეგებზე, წარმოებულ პროდუქციაზე. კოლექტიურმა იჯარამ ხელი შეუწყო კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების შემოქმედებითი აქტიურობის გაძლიერებას, უფრო დიდი ჰაჰვენებლების მიღწევას შრომაში, რეზერვების სრულ ამოქმედებას. გაიზარდა დაინტერესება, განმტკიცდა დისციპლინა, ბრიგადირებს აღარ სჭირდებათ კოლმეურნეებისათვის შეხსენება, თუ რა უნდა აკეთონ. ყველამ იცის თავისი საქმე. თითოეული ცდილობს აგროვადებში შეასრულოს სამუშაოები, რადგან იცის, რომ უამისოდ ხელმეკრულება დაირღვევა, რისთვისაც დაჯარიმდება, ანაზღაურება შეუმცირდება. ვენახის გამპიროვნებლებმა კარგად იციან, რომ მოსავლიანობის უპირველესი მტერია მეჩხერიანობა, ამიტომ ამ ხარვეზის აღმოფხვრა მათი მთავარი ამოცანაა. საამისოდ კოლმეურნეს დამატებით ანაზღაურებასაც ვაძლევთ. ამის შედეგიც არის, რომ ჩვენთან მეჩხერიანობა 10-12 პროცენტამდეა შემცირებული, საერთოდ მოიჯარადე ცდილობს ყველანაირად გაზარდოს მოსავლიანობა, შეამციროს დანაკარგები, მოუაროს კარგად და რაც შეძლება მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია აწარმოოს, ამ პროდუქციის ღირებულების 25 პროცენტი ხომ მისია. მაგალითად № 14 ბრიგადიდან უშნაგი ვარადაშვილის ოჯახმა შარშან გაპირონვებული 2 ჰექტარი ვენახიდან 35,6 ტონა ყურძენი მოიწია, რომლის ღირებულება 19246 მანეთია, საიდანაც მის ოჯახს 4812 მანეთი ერგო; შალიკო წოწიშვილის ოჯახმა 17831 მანეთის ყურძენი მოიყვანა და ამის წყალობით საკუთარ ოჯახს 4458 მანეთი შემატა. ამ გზით პელო ოსიაშვილის ოჯახმა 4301 მანეთი მიიღო, ილო პაკაცოშვილის ოჯახმა — 3956 მანეთი და ა. შ. მეთერთმეტე ხუთწლედის განმავლობაში ამ წესით კოლმეურნეებზე გაცემულია 7 მილიონ 466 ათასი მანეთი. თუ ამას დაამატება საკარმიდამო ნაკვეთებში მოწეული მოსავალიც, ცხადი გახდება, რა შეძლებულად ცხოვრობენ სოფლის მშრომელები. რაღა თქმა უნდა, ეს სიმდიდრე ცალმხრივი არ არის, იჯარული შრომის დანერგვით კოლმეურნეობაში ბოლო წლებში მთლიანი პროდუქციის წარმოება 116 პროცენტით გაიზარდა, დაახლოებით ამდენითვე მოიმატა მოგების, რენტაბელობის და შრომის ნაყოფიერების დონემ.

გავაზეპირი გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ საოჯახო იჯარა უნდა ითვალისწინებდეს 100 პროცენტიან გაპირონვებას, კოლმეურნეობის 900 ჰექტარი ვენახი მთლიანად გაპირონვებულია 800 კაცსე, მაგრამ ეს არ გამორიცხავს კოლექტიურ შრომას მოსავლის აღების დროს, ამასთანავე თითოეული თავის ნაკვეთში მოწეული მოსავლის ბატონ-პატრონია ბოლომდე. მაგრამ ყურძენს ბრიგადა კრეფს, ნაკვეთები მიყოლებით იკრიფება. ზოგჯერ ხდება ასეც დაკრიფება გაპირონვებულის ნაკვეთი და იგი შემდეგ აცდენს სამუშაოს, სხვას აღარ ეხმარება, ან ოჯახის წევრებს აღარ ამუშავებს, ასეთებს უმიზეზოდ გაცდენისათვის გარკვეულ თანხას უკავებენ. გარკვეულ თანხას ვერ იღებენ ისინიც, რომლებმაც საველდებულო მინიმუმი ვერ შეასრულეს. ეს თანხა კოლმეურნეობის მიიჯენტში რჩება და ისევ სოფლის სიკეთეს ხმარდება. ასეთი ღონისძიებები ხელს უწყობს დისციპლინის განმტკიცებას.

დ. გერგიშვილი.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მეთერთმეტე ხუთწლედში საოჯახო იჯარამ თანდათან მოიკიდა ფეხი ყვარლის რაიონში. ახლა აქ დაბეჯითებით ამბობენ, რომ შრომის ორგანიზაციის ამ ფორმამ გაამართლა. თუ როგორ გაამართლა, ეს ცხადად ჩანს სოფელ გაგაზის ენგეულსის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითზე.

— საოჯახო იჯარამ ბევრი სიკეთე მოუტანა სოფელს, — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რ. სესიაშვილმა, — განმტკიცა შრომის დისციპლინა, ბრიგადირებს აღარ სჭირდებათ კოლმეურნეებისათვის შეხსენება, თუ რა უნდა აკეთონ. ყველამ იცის თავისი საქმე. თითოეული ცდილობს აგროვადებში შეასრულოს სამუშაოები, რადგან იცის, რომ უამისოდ ხელშეკრულება დაირღვევა, რისთვისაც დაჯარიმდება, ანაზღაურება შეუმცირდება. ვენახის გამპიროვნებლებმა კარგად იციან, რომ მოსავლიანობის უპირველესი მტერია მეჩხერიანობა, ამიტომ ამ ხარვეზის აღმოფხვრა მათი მთავარი ამოცანაა. საამისოდ კოლმეურნეს დამატებით ანაზღაურებასაც ვაძლევთ. ამის შედეგიც არის, რომ ჩვენთან მეჩხერიანობა 10-12 პროცენტამდეა შემცირებული, საერთოდ მოიჯარადე ცდილობს ყველანაირად გაზარდოს მოსავლიანობა, შეამციროს დანაკარგები, მოუაროს კარგად და რაც შეძლება მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია აწარმოოს, ამ პროდუქციის ღირებულების 25 პროცენტი ხომ მისია. მაგალითად № 14 ბრიგადიდან უშნაგი ვარადაშვილის ოჯახმა შარშან გაპირონვებული 2 ჰექტარი ვენახიდან 35,6 ტონა ყურძენი მოიწია, რომლის ღირებულება 19246 მანეთია, საიდანაც მის ოჯახს 4812 მანეთი ერგო; შალიკო წოწიშვილის ოჯახმა 17831 მანეთის ყურძენი მოიყვანა და ამის წყალობით საკუთარ ოჯახს 4458 მანეთი შემატა. ამ გზით პელო ოსიაშვილის ოჯახმა 4301 მანეთი მიიღო, ილო პაკაცოშვილის ოჯახმა — 3956 მანეთი და ა. შ. მეთერთმეტე ხუთწლედის განმავლობაში ამ წესით კოლმეურნეებზე გაცემულია 7 მილიონ 466 ათასი მანეთი. თუ ამას დაამატება საკარმიდამო ნაკვეთებში მოწეული მოსავალიც, ცხადი გახდება, რა შეძლებულად ცხოვრობენ სოფლის მშრომელები. რაღა თქმა უნდა, ეს სიმდიდრე ცალმხრივი არ არის, იჯარული შრომის დანერგვით კოლმეურნეობაში ბოლო წლებში მთლიანი პროდუქციის წარმოება 116 პროცენტით გაიზარდა, დაახლოებით ამდენითვე მოიმატა მოგების, რენტაბელობის და შრომის ნაყოფიერების დონემ.

გავაზეპირთა საოჯახო იჯარა

ეს ფაქტი

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებებმა, სპირტიანი სასმელების ვაჭრობის სერიოზულმა შეზღუდვამ, რასაკვირველია, ხელი უნდა შეუწყოს ხილის წვენების რეალიზაციის ზრდას. წვენების წარმოების გადიდებამ, ხარისხის რამდენადმე გაუმჯობესებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა მისი მოხმარების გაფართოებისათვის.

მაგრამ საზოგადოებრივი კვების ობიექტების გულდასმით დაგალიერებამ, მათი მუშაობის გაცნობამ, ქსელის მუშაკებთან და მომხმარებლებთან შეხვედრებმა, გულღია საუბრებმა დაგვარწმუნა, რომ წვენებით ვაჭრობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული შეფერხებანი. საგულისხმოა ისიც, რომ ზუგდიდში — ქალაქსა და რაიონში ძალიან მძიმედ იკიდებს ფეხს ეს ასორტიმენტი, იგი ტრადიციულად „მოდაში“ არ არის. საზოგადოებრივი კვების მეორე კატეგორიის ობიექტებში ლუდის თავისუფალი გაყიდვის დაშვების შემდეგ მომხმარებელთა გარკვეულმა ნაწილმა ზუერი „შეაქცია“ წვენებს.

არ ვიქნებით ობიექტური, თუ ამ დარგში არსებული ვითარების მთელ სიმძიმეს და დანაშაულს მარტო ვაჭრობის მუშაკებს დავაბრალებთ. ამ მხრივ ბევრი პრობლემა დროულ გადაწყვეტას მოითხოვს. საკითხი უპირველესად ეხება წვენების ხარისხის გაუმჯობესებას, მათს გაფორმებას და ფასების რეგულირებას. ისიც უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივი კვების ცალკეული ობიექტების მეცვლეურები წვენების რეალიზაციაში ბევრს აცოდავენ.

ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის მუშათა სასადილოში ჩვენი ოფიციალური სტუმრობა შესვენების პერიოდს დაემთხვა. 12 საათიდან 14 საათამდე დაახლოებით 250-მა მუშა-მოსამსახურემ ისადილა. თუმცა ბუფეტში სამი დასახელების წვენი ჰქონდათ, ისინი არავის მოუთხოვია. მუშებთან სუბარისას გამოირკვა, რომ თურმე წვენების უმრავლესობა უხარისხო და ძვირია. ლიმონათი გვარჩევნიაო, ერთხმად განაცხადეს მუშებმა, მინერალური და სხვა სახის გამაგრილებელი წყლები უფრო იაფი გვიჯდება და იმას ვარჩევთო.

ბუფეტში გასაყიდად გამოტანილი ვაშლის, ყურძნისა და მანდარინის წვენი ჩასხმული იყო უგემოვნოდ გაფორმებულ სამლიტრიან ჭიქაში, რომლიდანაც ჭიქებში გადმოსხმა ძნელია. ქილიანი ბუფეტის ასორტიმენტი ერთ-ერთ ადგილზეა ეტიკეტები, ხუფები ჩაყრილებული იყო, ზოგიერთ მათგანში აშკარად შეიმჩნეოდა დანალექი. სასადილოს გამგემ ვ. ქვარცხავამ აგვიხსნა: სამლიტრიან ქილას რომ გავხსნით, იგი 24 საათის განმავლობაში უნდა გაიყიდოს, თორემ წვენი ფუქდება და გადასასხმელი გვიხდებაო. ეტიკეტის მიხედვით ვერ გავარკვიეთ, რომელმა ქარხანამ გამოუშვა იგი, როდემდე აქვს მოხმარების ვადა.

ბუნებრივია, ასეთ წვენს მომხმარებელი მოერიდება, ხოლო რაც შეეხება ხარისხს, იგი ლაბორატორიული მეთოდით არ შეგვიმოწმებია, მაგრამ დაგვერწმუნებით ივაში, რომ ხარისხის უპირველესი შემფასებელი მომხმარებელია.

— მიმდინარე წელს ერთი ჭიქა წვენი არ გამიყიდია, — სინანულით თქვა შეფუბეტემ ნ. სართანიამ.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობა იყო „საქჩაის“ რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის სარემონტო-მექანიკური კომბინატის მუშათა სასადილოში (გამგე-მებუფეტე — ჯ. ალმასია), ბოლოდ ამ ფასხვავებით, რომ აქ წვენების მრავალფეროვანი ასორტიმენტი იყო წარმოდგენილი, მაგრამ მას არავინ ეკარებოდა. ხოლო იქვე, სამკერვალო ფაბრიკის ტერიტორიის გარეთ მდებარე ზუგდიდავაჭრობის №106 სასურსათო საქონლის მაღაზიაში (გამგე — ი. მოსია) გასაყიდად გამოტანილი ჰქონდათ მანდარინის, ტყემლის, ტომატის წვენების ჰტვერმოყრილი და დაკბილულ-ხუფიანი სამლიტრიანი ქილები, რომლებიც ჯერ კიდევ 1985 წელს მიეღიათ მარნეულისა და ზუგდიდის საკონსერვო ქარხნებიდან. საკითხავია, განა შეიძლება ასეთი პროდუქციის შეთავაზება მომხმარებლისათვის?

ამის მიუხედავად, ქალაქის საზოგადოებრივი კვების ქსელში 1986 წელს რეალიზებულია 90 ათასი ლიტრი ხილის წვენი ფონდით გათვალისწინებული 66 ათასი ლიტრის ნაცვლად. გამოდის, რომ ამ პროდუქციით ვაჭრობაში არის სოლიდური რეზერვი, რომელსაც გონივრულად უნდა გამოყენება ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების, ქსელის შეუფერებელი მომარაგების და, რაც მთავარია, წვენების ხარისხის მკვეთრი ამაღლების გზით.

ვ. ჩაჩიბაია,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ვაჭრობა, მომსახურება, პროგლემები

წვენები „მოდაში“ არ არის

სასმელება მეურნეობრიობის ხელახალი ორიენტაციაა

სამ ცვლად

ბოლოს ბოლოს, ეს საკითხი ალბათ ბევრ ადგილზე ასეთ ფორმულირებას ეღირსებოდა. ეს ეხება ალკოჰოლიზმის, ლოთობის, ალკოჰოლური სასმელების ბოროტებას. ეს ეხება ადამიანთა ნაღვაწ-ნაჯაფის მკაცრი ფასებით, ეს ეხება ოჯახებს, ეს ეხება ბავშვებს, ეს ეხება ადამიანურ ბედნიერებას, ეს ეხება ადამიანურ ტრაგედიებს, ეს ეხება ადამიანურ ბოროტებას, ეს ეხება ადამიანურ ცოდვებს, ეს ეხება ადამიანურ ტანჯვას, ეს ეხება ადამიანურ ტკივილებს, ეს ეხება ადამიანურ ცრემლებს, ეს ეხება ადამიანურ ოფლს, ეს ეხება ადამიანურ ბედს, ეს ეხება ადამიანურ ბედისწერას, ეს ეხება ადამიანურ ბედნიერებას, ეს ეხება ადამიანურ ბედნიერებას, ეს ეხება ადამიანურ ბედნიერებ

წარსული თანამედროვეობას უნდა ემსახურებოდეს

რამდენიმე მოსაზრება უმაღლეს და საშუალო სკოლებში ისტორიის სწავლებასთან დაკავშირებული საკითხების გამო

„ისტორიის გაკვეთილები უწინარესად ის არის, რომ ადამიანები ვერ იღებენ ისტორიიდან გაკვეთილებს“ — დიდი ინგლისელი მწერლის ბერნარდ შოუს ეს ირონიული სიტყვები ნათლად მიგვანიშნებს ისტორიით აღზრდის მაღალ დანიშნულებაზე. ისტორიული მეცნიერება სწავლობს საზოგადოების განვითარების ერთიან კანონზომიერ პროცესს მთელი თავისი უზარმაზარი მრავალფეროვნებითა და წინააღმდეგობებით (ვ. ი. ლენინი), სწავლობს, უწინარესად, იმ მიზნით, რომ შეიცნოს ამავე საზოგადოების აწმყო და მომავლის პერსპექტივები. ისტორიის ცოდნა ადამიანისათვის შინაგანი კომპასია, განვლილი გზისა და მომავლის მიმართულების სისწორეს რომ უჩვენებს. წარსული — თანამედროვეობას, თანამედროვეობა კი მომავალს ემსახურება. საოცრად ფართოა ისტორიის პარამეტრები ყველა სხვა მეცნიერებასთან შედარებით, იგი ხალხის კოლექტიური მეხსიერება, კაცობრიობის მატერიალური და სულიერი ცხოვრების ათასწლოვანი გამოცდილების საუნჯე და საგანძურია.

შესაძლოა, კაცმა არ იცოდეს ვოქვათ, მათემატიკა ან ქიმია, მაგრამ განათლებული იყოს, ისტორიის უცოდინარობა კი მისი განათლებლობის მთავარი ნიშანიაო, ამბობდა დიდი რუსი რეოლუციონერი-დემოკრატი ნ. გ. ჩერნიშევსკი. ისტორიული გამოცდილების, ისტორიით აღზრდის უდიდეს ზნეშნველობაზე შეძლებოდა მოგვეყვანა მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა მრავალი გამონათქვამი, მაგრამ საკმარისია ქართველი ერის ბრძენი მოღვაწის ილია ჭავჭავაძის შეგონებაც: „ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, — წერს დიდი ილია, — რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, რაცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისი ყოფილი ცხოვრებისა... წარსული ძვალდრი საძირკველია აწმყოსი როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სამი სხვადასხვა ეამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი უმეორეოდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ბრძენისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის შობელი მომავალისა. ეს სამთა ეამთა ერთმანეთზედ დამოკიდებული კანონი ისევე შეურყეველია, როგორც ყოველივე ბუნებრივი კანონი“.

ისტორიით აღზრდის აუცილებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენი ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე. იგი საბჭოთა ადამიანებს უვითარებს სამშობლოს სიყვარულს, კომუნისტური იდეალებისათვის თავდადების სულისკვეთებას, ინტერნაციონალიზმს, შრომისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას.

ეს ხაზგასმით ითქვა სკკპ XXVII ყრილობისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაშიც. „წარსულის პასუხისმგებლური ანალიზი, — აღნიშნა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა საბჭოეთის კომუნისტთა ამ დიდ ფორუმზე, — გვიკვალავს მომავლის გზას, ხოლო ნახევრადსიმართლეᲲ, რომელიც მორცხვად უმლის გვერდს მაბვილ კუთხეებს აფერხებს რეალური პოლიტიკის გამომუშავებას, ხელს უშლის წინსვლას“. ყრილობამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიას ორგანულად დაუკავშირა იდეოლოგიური აღზრდის პრობლემები და ამოცანები.

და სწორედ ამის საფუძველზე ამ ბოლო ხანს საბჭოთა პრესაში სისტემატურად იბეჭდება მასალები ისტორიის ცოდნის განსაკუთრებული როლის შესახებ.

ისტორიით აღზრდა გულისხმობს ურთიერთგანმაპირობებელ ორ ასპექტს: ისტორიული მეცნიერების წინსვლას, მისი მეცნიერული პოტენციალის ზრდას, და მასებში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, მის ფართო პროპაგანდას.

ისტორიით აღზრდა „აკვნიდან“ იწყება. არადა, ცოტაა, ძალზე ცოტაა მიმზიდველი, ჩვილი გონებისათვის მისაწვდომი თვალსაჩინო მასალა, მშობლებს რომ ისტორიისადმი ბავშვის ინტერესების აღძვრაში დაეხმარებოდა. სერიოზული ხარვეზები ახასიათებს ისტორიით აღზრდის სკოლაში. ამ მეცნიერებისათვის განკუთვნილი 460 საათი „მშიერი ულუფაა“, მით უფრო, რომ სახელმძღვანელოები რიგიანად ვერ არის შედგენილი, ხოლო დამხმარე საკითხავი წიგნები და თვალსაჩინო მასალა უგემოვნოდაა შერჩეული. ისტორიისადმი ინტერესი, თუ გავთვალისწინებთ მოსწავლეთა უმრავლესობის პრაგმატულ მისწრაფებებს, საშუალო სკოლაში საგრძნობლად შეანელა იმ გაუმართლებელმა ექსპერიმენტმა, რომელიც შარშან დაინერგა უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარულ დარგებში სტუდენტთა მისაღებ გამოცდებზე. მხედველობაში გვაქვს სსრკ ისტორიაში გამოცდის შეცვლა საზოგადოებამეცოდნეობთან, ფილოსოფიის, პოლიტეკონომიის მეცნიერული კომუნიზმის სპეციალისტები ცალ-ცალკე ამოწმებდნენ აბიტურიენტის ცოდნას ისეთ რთულ ცნებებში, რომლებიც ადამიანთა საზოგადოების განვითარების ძირითად ფაქტორებს მოიცავს. და ეს მაშინ, როცა საშუალო სკოლაში საზოგადოებათმეცოდნეობას სულ 68 საათი აქვს დათმობილი, ხოლო ამ საგნის სახელმძღვანელო სრულად ვერ ამართლებს დანიშნულებას. ახლა ყველა აღიარებს, რომ ასეთი შეცვლა არ იყო მიზანშეწონილი, მაგრამ მდგომარეობა მაინც უცვლელია. წლეულსაც ნავარაუდევია სსრკ ისტორიის ნაცვლად გამოცდა საზოგადოებათმეცოდნეობაში მოეწყოს იურიდიულ, ფილოსოფიის, ჟურნალისტიკისა და ეკონომიკის ფაკულტეტებზე თუ ეს ტენდენცია დამკვიდრდა ისტორიის სწავლების საშუალო სკოლაში, ჩვენი აზრით, საფრთხე შეექმნება, საგრძნობლად შემცირდება მისადმი ინტერესი. გაუმართლებელია ისიც, რომ ისტორიის კურსი არ იკითხება უმაღლეს სასწავლებელთა ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე (იურიდიული, ფილოსოფიის, ეკონომიკის, ჟურნალისტიკის).

ისტორიით აღზრდის აქტუალური პრობლემა ახალ ამოცანებს სვამს საზოგადოებამეცოდნეთა წინაშე. იდეოლოგიური დარგის მუშაკებს, უპირველესად ისტორიკოსებს, პარტიამ მოსთხოვა დაძლიონ სქოლასტიკა, მედავითნეობა, დოგმატიზმი ისტორიულ მოვლენათა შეფასებაში, გააქტიურონ პარტიის პოლიტიკური აზრი, გაუღვივონ კადრებს თეორიისადმი ინტერესი, ჩაუნერგონ სოციალური პროცესების ლენინური ანალიზის უნარი. დასამალი რომდია, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ცალკეული ეტაპების ამსახველი ისტორიული ლიტერატურის საგრძნობ ნაწილში ფაქტები და მოვლენები ერთგვარად შელამაზებულია. ხშირად ისტორიული პროცესი წარმოჩენილია რეალურ წინააღმდეგობათა გარეშე, მიფუნჭიებულია ნაკლოვანებები და შეცდომები. საბჭოთა ისტორიოგრაფია ფუნდამენტური კვლევის გაღრმავების აუცილებლობის წინაშე დგას.

ისტორიით აღზრდის გაუმჯობესების ამოცანა მთელი პასუხისმგებლობით დგება ჩვენი რესპუბლიკის იდეოლოგიურ მუშაკთა წინაშე. თბილისის უნივერსიტეტის პარტიული აქტივის კრებაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა სამართლიანად მიუთითა ისტორიით აღზრდის მნიშვნელობაზე, ხაზი გაუსვა, რომ უპატიოსნება, მისგან გამომდინარე ნეგატიური მოვლენები, რამაც ამ ბოლოს იჩინა თავი საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთ სფერში, სრულებითაც არ წარმოადგენს ჩვენი ხალხის ისტორიულ თვისებას, რომ ყველაფერი ეს შეძენილია თანამედროვე პირობებში, რომ იდეოლოგიური დარგის მუშაკები, უპირველესად ისტორიკოსები, ჩვენი საზოგადოებრიობისათვის ამ უკიხო მოვლენების დაძლევის მიზნით შეურიგებელ ბრძოლაში უნდა იყენებდნენ ჩვენი გმირული წარსულის გაკვეთილებს, მამა-პაპათა უძვირფასეს ტრადიციებზე ზრდიდნენ ახალგაზრდობას.

დაბალ დონეზეა მშობლიური ისტორიის სწავლება საშუალო სკოლაში. მეშვიდე კლასში საქართველოს ისტორიას სულ დათმობილი აქვს 34 საათი, ხოლო მე-8 — 9 — 10 კლასებში 10-10 საათი. და ეს საათებიც სსრკ ისტორიის ზოგადი კურსის ხარჯზეა ჩასმული. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდას არა აქვს თავისი ქვეყნის ისტორიული ცხოვრების სავალდებულო ცოდნა. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო მოძველებულია და ღღიდე ვერ მოება თავი მის განახლებულ და შევსებულ გამოცემას, არ არის შექმნილი საქართველოს ისტორიის ქრესტომათია; მასწავლებლებს არა აქვთ საისტორიო რუკები და სხვა თვალსაჩინო მასალა; მეტად უფერულია საკითხავი წიგნები მშობლიურ ისტორიაში;

ისტორიკოსთა კადრების აღზრდაში მრავალი ხარვეზია უმაღლეს სკოლაშიც. აქ ზედმეტი არ იქნებოდა გაგვეხსენებინა 30-იანი წლები თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ცხოვრებაში. საოცრად ნიჭიერი თაობა ისტორიკოსებისა აღიზარდა მაშინ ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის მეთაურობით. მაშინდელი თაობა ახალგაზრდულ ასაკშივე ბრწყინავდა პედაგოგიური უნარითა და სამეცნიერო პროდუქციით, ახალგაზრდულ ასაკში ჰქმნიდა მნიშვნელოვან გამოკვლევებს, ამკვიდრებდა შემოქმედებითს განწყობილებას. დღეს ისტორიკოსთა ძველ კადრებსა და ახალგაზრდა თაობას შორის თითქოს ვაკუუმია. თითზე ჩამოსათვლელი ერთეულების გარდა, ისტორიკოსთა ახალგაზრდული პერსონალი კმაყოფილდება საკვალიფიკაციო ხარისხის პირველი საფეხურის ძიებით და მასთან დაკავშირებული ორიოდე სავალდებულო ნაშრომის გამოქვეყნებით. მეტი ნაწილი კი გატაცებულია რეპეტიტორობით და ამ ძნელ სამუშაოს ახმარს ნიშსა და ენერგიას. რა თქმა უნდა, რეპეტიტორობა სოციალური პრობლემაა და მეცნიერი მუშაკის არც თუ მაღალი ხელფასის ვითარებაში მას თავისებური გამართლებაც მოეძებნება, მაგრამ საერთო ჯამში იგი დიდად აფერხებს ისტორიკოსთა შემოქმედებითს ზრდას.

თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტს დღეისათვის არ აქვს სპეციალიზებული საკვალიფიკაციო სამეცნიერო საბჭო, ძალზე შემცირებულია სასპირანტო კონტიგენტი, იშვიათია საჯარო დისკუსიები ისტორიის საკვანძო პრობლემებზე, დავიწყებას მიეცა ისტორიკოსთა და მწერალთა შემოქმედებითი შეხვედრები, სუსტია კოორდინაცია სამეცნიერო დაწესებულებებთან, პირველ რიგში ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან. ასეთი ატმოსფერო ართულებს ისტორიკოსთა ახალგაზრდა კადრების აღზრდას, ვერ უპასუხებს მოთხოვნებს, რომელთაც დაჩქარების სტრატეგია თვალისწინებს და უმაღლესი სკოლის რეფორმით არის ნაკარნახევი. ერთობ საყურადღებოა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა მომზადების სრულყოფისა და გამოყენებისათვის ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე მუშაობის არსებითი ნაკლოვანებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის შემოწმებით გამოვლინდა. მათი უთუო გამოსწორებისათვის სერიოზული მუშაობა გვმართებს.

ისტორიკოსთა ახალგაზრდა კადრების მაღალხარისხოვნად აღზრდის საქმეს გარკვეულწილად აფერხებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებისა და საკუთრივ ისტორიის კათედრების ერთგვარი გამიჯნულობა. გაუგებარია, რატომ ითვლება საზოგადოებრივ მეცნიერებისად მხოლოდ მეცნიერული კომუნიზმის, სკკპ ისტორიის, ფილოსოფიის და პოლიტეკონომიის კათედრები, რომელთაც თავიანთი გაერთიანებული საბჭო აქვთ? იდეოლოგიური ხასიათის რესპუბლიკურ თუ საკავშირო თათბირზე მხოლოდ მათ წარმომადგენლებს იწვევენ, სსრკ ისტორიის, საქართველოს ისტორიის, მსოფლიო ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნებათმცოდნეობის კათედრები კი განზე რჩება. უთანაბრობაა მათს საათობრივ დატვირთვაშიც. რატომ? ვინ გათიშა ისტორია საზოგადოებრივი მეცნიერებისაგან, განა მის დანიშნულებას საზოგადოების განვითარების პროცესი მისი კანონზომიერების ძიება არ შეადგენს? ასეთი გამიჯნულობის მიზანშეწონილობას ვერც ვერავინ ხსნის და ყველას მიერ სიტყვიერად აღიარებული მისი უსარგებლობაც დაუძლეველია.

ამ ბოლო ხანს ხშირად ისმის საყვედური რესპუბლიკაში ისტორიკოსთა კადრების სიჭარბეზე. ეს „სიჭარბე“ კი, ჩვენი აზრით, ისტორიის ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა განაწილების ცუდი ორგანიზაციით არის განპირობებული. მათ მხოლოდ პედაგოგიურ ასპარეზზე ანაწილებენ და ნაკლებად იყენებენ პარტიულ თუ საბჭოთა სამუშაოებზე.

კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები, დაჩქარების სტრატეგია და მისგან გამომდინარე პრობლემები ახალ ამოცანებს უყენებს ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას. უდავოა ქართველ ისტორიკოსთა წარმატებანი. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა თუნდაც „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მრავალტომეული, რომელსაც საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცა, და ცალკეული მონოგრაფიული ნაშრომები. ეროვნული ისტორიოგრაფიული ძიებანი, ქალაქებისა და სოფლების ისტორიის შესწავლაში მოპოვებული შედეგები და სხვ. მაგრამ პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასაბული კურსის მიხედვით ჩვენი ისტორიული წარსულის მრავალ პრობლემას კვლავ სჭირდება ხელახალი, უფრო ჩაღრმავებული შესწავლა. მაგალითად, ნაშრომები, რომლებიც საქართველოს ისტორიის უახლეს პერიოდს, კერძოდ, 50-60-იან და 70-იან წლებს ეძღვნება, კონიუნქტურული ელფერისაა, მათში შელამაზებულია ფაქტები და მოვლენები. იმ დიდ წარმატებათა გვერდით, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკას ამ პერიოდში უდაოდ ჰქონდა, არ არის გაანალიზებული ნეგატიურ მოვლენათა აღმოცენების სუბიექტური და ობიექტური მიზეზები, გვერდგასვლილი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი მტკივნეული საკითხი.

ზოგიერთი ჩვენი კოლეგა გამოთქვამს საყვედურს იმის გამო, რომ ისტორიიდან წარსულისადმი მიძღვნილ ზოგიერთ ნაშრომში მეტისმეტად არიან განდიდებული ისტორიული პირები (ვახტანგ გორგასალი, დავითი, თამარი), არის ეთნოგენეზის დაძველების მისწრაფება და სხვ. ამ საყვედურის საფუძველიანობის მოსაშლელად საჭიროა საქართველოს ისტორიის მკვლევარებმა შექმნან და საკავშირო არენაზე გაიტანონ მაღალმეცნიერული გამოკვლევანი ქართველი ხალხის ეთნოგენეზისის მისი ძირძველი უნიკალური კულტურის ისტორიაზე, იმ დიდ ისტორულ ტენდენციებზე მატერიალური და სულიერი წარმოების სფეროებში, რაც ვახტანგ გორგასალს, დავით აღმაშენებელს, თამარის ეპოქას ახასიათებდა. ერთი სიტყვით მარტო დარგობრივად კი არ დაახასიათონ, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა კომპონენტის მიხედვით წარმოაჩინონ, სისტემურ მთლიანობაში განიხილონ საქართველოს ისტორიის კულტურის განვითარება, ხალხის მიერ შექმნილი სულიერი ღირებულებანი.

ასევე წინა პლანზე დგება ქართული კულტურის ისტორიის შექმნის პრობლემა. საბჭოურ ისტორიოგრაფიაში კულტურის ისტორია ახლა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა და ამ დარგში კვლევა-ძიება ისტორიის ყველა საკავშირო კვლევითს დაწესებულებაში ინტენსიურად მიმდინარეობს. კულტურის ისტორია პასპორტია ყველა ერისა. ქართული ისტორიოგრაფია უთუოდ ჩამორჩება ამ ფუნდამენტური პრობლემის კვლევაში. ამის თაობაზე არა ერთხელ ითქვა ისტორიკოსთა ბორჯომის შეკრებებზე, დაისახა კიდეც პრაქტიკული ღონისძიებანი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით პირველი სასიკეთო ნაბიჯი გადადგა კიდეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა — შექმნა ქართული კულტურის ისტორიის კათედრა. მაგრამ ამ კათედრას რომ საფუძველი განუმტკიცდეს და ქართული კულტურის ისტორიის კვლევა გეგმაზომიერად, კომპლექსურად, რესპუბლიკის სამეცნიერო ძალთა კოორდინაციის გზით წარიმართოს საჭიროა შემდგომი ნაბიჯიც — ქართული ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის შექმნა. ამ მხრივ დიდად დაგვეხმარებოდა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის გამოცდილება, სადაც ძირითადი კათედრების ბაზაზე შექმნილი ასეთი ლაბორატორია ინტენსიურ კვლევითს მუშაობას ეწევა და რუსეთის კულტურის ისტორია მრავალტომიანი გამოკვლევებით გაამდიდრა.

ისტორიით აღზრდის ორგანული ნაწილი და, აქედან გამომდინარე, ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა კონტრპროპაგანდა ბურჟუაზიული სოციოლოგიის ახალ ძალ-ღონეს არ ზოგავს, რომ ყალბად, ტენდენციურად წარმოაჩინოს საქართველოს [illegible] მოაჩინოს საქართველოს [illegible] და უახლესი ისტორია [illegible] საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგები, საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პროცესი, საქართველოს კომპარტიის ბრძოლა ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის, დაკნინოს საბჭოთა საქართველოს ისტორიული გამარჯვებანი სოციალიზმის მშენებლობაში, დაამციროს და გააბიაბრუოს საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის ცხოველმყოფელი ძალა და სხვ.

ქართველ ისტორიკოსთა გადაუდებელი ამოცანაა საკადრისი პასუხი გასცენ ცილისმწამებლებს. დასამალი არ არის, რომ ჩვენთან უსიტყვოა ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ყალბი კონცეფციების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ პრობლემაზე გამოქვეყნებულ ნაშრომთა უმრავლესობა ზერელეა, მოკლებულია მეცნიერულ სიღრმეს, ხასიათდება მყვირალა სათაურებითა და დეკლარაციული განცხადებებით. ამ ნაკლის დაძლევას შევძლებთ მაშინ, როცა ქართველ ისტორიკოსებს შესაძლებლობა ექნებთ უშუალოდ ებრძოლონ ის წყარონი და მასალები, რომელთაც ეყრდნობა ბურჟუაზიული სოციოლოგია. ქართველ ისტორიკოსებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ იმუშაონ უცხოეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში. ამ საქმეში [illegible] ბორჯომის [illegible] ... ეროვნული [illegible] ... ეროვნული [illegible] ... ეროვნული

წ ლ ი ს მ ო ნ ა გ ბ ა რ ი

ნაყოფიერი გამოდგა 1986 წელი საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმისათვის. მისი ფონდები შეივსო და გამდიდრდა დიდძალი ნივთიერი მასალით, მოეწყო გეოლოგიური, საბუნებისმეტყველო, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ათეისტური ექსპედიციები.

გეოლოგებმა მცხეთის, დუშეთის, ბერთკლდეების, ნაცარგორას, დედოფლის გორასა და გარეჯის უდაბნოს მიდამოებში დაგროვეს ხერხემლიანთა ფაუნის დიდძალი ნაშთები. ბოტანიკოსებმა აღმოსავლეთ კავკასიონზე, დუშეთისა და ახმეტის რაიონებში მოიპოვეს საყურადღებო ფლორისტიკული, გეობოტანიკური და ეთნობოტანიკური შინაარსის მასალები. შეგროვდა მცენარეთა 100-ზე მეტი საჰერბარიუმო ნიმუში. ზოოლოგებმა სამეგრელოში, რაჭასა და ხევსურეთში მოიძიეს მრავალი ფლორისტული და ფაუნისტური მასალა. წინაფეოდალურმა განყოფილებამ ხუთი არქეოლოგიური ექსპედიცია განახორციელა. სოფელ სიონში (ბარნეულის რაიონი) 12 ორმოსამარხი გაითხარა. სამარხების ქვეშ გამოვლინდა ქვის წრიული კედლის ფრაგმენტი. ბერთკლდეების (ქვემო ქართლი) ექსპედიციამ შეისწავლა გვიანბრონჯაო-ადრეული რკინის ხანის ნაშთები. შიდა ქართლის ექსპედიციამ გათხრები გააგრძელა „დედოფლის გორაზე". გაითხარა ადრეფეოდალური და გვიანანტიკური ხანის 4 ნამოსახლარი ფენა. გამოვლინდა ძვ. წ. I-ახ. წ. II საუკუნეების სასახლის სამი სათავსი. სასახლე უეცრად არის დანგრეული. მასში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა იარაღ-საჭურველი, სამკაული, თიხისა და ლითონის ჭურჭელი, ავეჯი... მსგავსი მასალის გამოვლენა საქართველოში პირველი შემთხვევაა. სოფელ მუხურჩაში (გეგეჭკორის რაიონი) ადგილ „ნაწისქვილარზე" გაგრძელდა ადრეული რკინის ხანის საწარმო-ნამოსახლარის (ფერადი ქვის მძივების საწარმოს) გათხრები. გამოვლინდა კულტურული ფენის ქვედა დონეები, რომლებიც მნიშვნელოვან ნივთიერ მასალას შეიცავს. სოფელ ოჩხომურსა და კირცხში (ჩხოროწყუს რაიონი) გამოვლინდა ელინისტური ხანის დასახლების ნაშთები. — მძლავრი კულტურული ფენა, ფეოდალური დასახლების ნაშთები. ელინისტურ ფენაში აღმოჩნდა ბერძნულწარწერიანი კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტი; სოფელ ოსინდალეს მიდამოებში წარმართული ხანის საკულტო დანიშნულების მღვიმე, გვიანანტიკური ხანის მძლავრ ნაგებობათა კომპლექსი; ველზე მუშაობდა შუა საუკუნეების განყოფილების სამი არქეოლოგიური ექსპედიცია. ნოქალაქევში გრძელდებოდა ნაქალაქარის ქვედა ტერასისა და ციტადელის, აბედათის ციხის გათხრები. დამთავრდა ნოსირის აბანოს გათხრა, განახლდა კოტიანეთის ციხის შესწავლა. ნეკრესში გრძელდებოდა პირველი კომპანიის გამოვლენილი ნაგებობის გათხრა, რომლის ქვეშ გამოჩნდა სამაფსიდიანი შენობის ნაშთები. ექსპედიციამ მიაკვლია ქალაქის ზღუდის ნაწილს. ალევში გაითხარა შვიდი, ხოლო კორინთაში — თოთხმეტი სამარხი. ექსპედიციის მნიშვნელოვანი მონაპოვარია კორინთაში ადრეშუასაუკუნეთა ნასახლარის აღმოჩენა. მოპოვებულია აგრეთვე მოუტეხავი კერამიკის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები. ნივთებიდან აღსანიშნავია შვლის გამოსახულებიანი საკინძები, სარდიონის მძივი, სასაღური ბროლის სახეკეთილი, რომელზეც ორი პიროვნების სქემატური გამოსახულებაა. სპელეოსტიკის ლაბორატორიის ექსპედიცია აგრძელებდა ვანის ქვაბის არქეოლოგიურ არქიტექტურულ შესწავლას. დამთავრდა გუმბათიანი ტაძრის გათხრები, გამოჩნდა ტაძრის დამხმარე სათავსებიც. იგი წარმოადგენს „გუმბათიანი დარბაზის" ე. წ. „კუპელ-ჰალესის" თავისებურ ტიპს. ეკლესიის ეს სახეობა იშვიათია საქართველოში. არქიტექტურულად შეისწავლეს ნათლისმცემლის უდაბნო-მონასტერი. ექსპედიცია მოეწყო სამშვილდისა და ზურთაკეტის მღვიმე-გამოქვაბულებში. მოპოვებულია როგორც ფეოდალური, ასევე ბრინჯაოს ხანის დიდძალი კერამიკული მასალა.

ეთნოგრაფთა ექსპედიცია მუშაობდა წითელწყაროს რაიონში, სადაც მიაკვლიეს დიდძალ საინტერესო ეთნოგრაფიულ მასალას; რელიგიის ისტორიისა და მეცნიერული ათეიზმის განყოფილებამ ეთნოგრაფთა ერთ ჯგუფთან ერთად განახორციელა გრძელვადიანი სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის ზონაში და მის მიმდებარე რაიონებში. მუშაობა დაიწყო დუშეთისა და თიანეთის რაიონებში და გაგრძელდა ჩრდილო ოსეთსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთში. ექსპედიციამ კინოფოტოპირზე დაფიქსირა კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის პირველი ნაბიჯები. სულ გადაღებულია 5200 მეტრი დოკუმენტური კინოფირი და 150 ფოტოკინოფირი;

1986 წელს მუზეუმს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციებიდან გადაეცა ორი ცალი გოფრირებული ოქროს გარსაკრავი, ოქროს რგოლი, სფერული მძივის გარსაკრავის ოქროს რგოლი, სფერული მძივის გარსაკრავის ოქროს ფრაგმენტი; ხოლო სამკურნალო მცენარეთა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან კი დიდძალი ფლორისტული საჰერბარო ნიმუშები. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, წლის მანძილზე მუზეუმმა შეიძინა მდიდარი სამუზეუმო ნივთიერი და დოკუმენტური მასალა. მადლობით უნდა მოვიხსენოთ ისინი, ვინც მუზეუმს უსასყიდლოდ შემოსწირა საინტერესო მასალები; ესენი არიან ვ. ნახუცრიშვილი (მინის ბეჭედი), ნ. ვაშაძე (ვარდისფერი ქილა), მ. ინაშვილი (ხის სკივრი), თ. სიხარულიძე (ენტომოლოგიური მასალა), ლეკვაკა-ბაკრაძე (ფოტოგრაფ კ. ფოტის მიერ 1873 წელს პეტერბურგში გადაღებული ილია ჭავჭავაძის ფოტო მწერლის ავტოგრაფით), თბილისის 66-ე საშუალო სკოლის ისტორიის წრის წევრები სიაიდოვის ხელმძღვანელობით (1924 წელს გამოშვებული ფირმა მ. ლაღიძის დაუფფული ლიმონათის ბოთლები), სოციალისტური შრომის გმირი გ. მეტონიძე (პირადი საბუთები, სულ 27 ერთეული). ფრიად შრომატევადი სამუშაო გასწია ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიამ. გაწმენდილი, რესტავრირებული და კონსერვირებულია ათასობით ოქროს, ფერცხლის, ბრინჯაოს, რკინის, სპილენძის, მინის, პასტის ნივთები.

საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის გამოფენა საფუძვლიანად გადახალისდა. მას შეემატა სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისა და რესპუბლიკაში ბოლო ხანს მომხდარი დიდმნიშვნელოვანი მოვლენების ამსახველი მასალები.

წლის მანძილზე მუზეუმის გამოფენები და ოქროს ფონდი სულ 361 ათასმა კაცმა დაათვალიერა.

ს. ნუცუბიძე.

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ

ესპანური დღიურის ქართული ფურცლები

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაინტერესდა მომავალი ფილოლოგი გრეტა ჩანტლაძე ბასკურ-ქართული ურთიერთობით. სწორედ ამ ინტერესმა მიიყვანა ხალხთა მეგობრობის მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი არცთუ ისე შორეულ ისტორიის შესწავლამდე. ენობრივ პარალელებს კი არა, ადამიანთა ბედს ეძღვნება მისი მოხსენება „ქართველი მოხალისენი და ბასკი რესპუბლიკელები ესპანეთის სამოქალაქო ომში". ამ მოხსენებით წარსდგა იგი ამას წინათ მოსკოვში გამართულ საკავშირო სიმპოზიუმზე, რომელიც ესპანეთში ანტიფაშისტური ომისა და გარისა ლორკას დაღუპვის 50 წლისთავს დაუკავშირდა.

სიმპოზიუმზე, რომელიც ოთაწყვეს მსოფლიო კულტურის ისტორიის სამეცნიერო საბჭომ და პირენეის ნახევარკუნძულისა და ლათინური ამერიკის კულტურის კომპლექსური შესწავლის კომისიამ, მოხსენებებით გამოვიდნენ აგრეთვე ეთნოგრაფი სალომე გაბუნია და ენათმეცნიერი ნათელა სტურუა. საინტერესოა, რომ დისკუსიაში მონაწილეობდა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი ირინე ლაზარაშვილი — მას ესპანური ენა შეასწავლა ბებიამ, რომელიც ბავშვობაში საბჭოთა კავშირში გამოიხიზნეს და აქ, საქართველოში პოვა მეორე სამშობლო.

— ესპანელი ბავშვების ბედნიერი ხვედრი ჩვენში და ჩვენი მოხალისეების მონაწილეობა სამოქალაქო ომში შორეულ პირენეის ნახევარკუნძულზე — საბჭოთა ინტერნაციონალიზმის ორი მხარეა, — ამბობს გ. ჩანტლაძე. — ეროვნული ყველაზე ახალგაზრდა ჩვენი თანამემამულე, ინტერბრიგადების მებრძოლი ივანე რუხაძე თავის მოგონებებში წერდა: „უცხო მიწა-წყალზე ყველანი დავახლოვდით, ერთიან ძალად დავიარაზვეთ ფაშიზმის წინააღმდეგ".

იმდროინდელი დოკუმენტები არც ისე ბევრ ცნობას შეიცავს. რესპუბლიკური ესპანეთის დაცვაში მონაწილე ქართველების შესახებ. ხალხთა მეგობრობის მუზეუმი ეძებს მასალებს სხვადასხვა არქივში. ცნობილია, რომ კონტრადმირალი ს. რამიშვილი ესპანეთის რესპუბლიკური ფლოტში მსახურობდა ხუან გარსიას სახელით. მოგვიანებით იგი მონაწილეობდა თეთრფინელებთან ომში, შემდეგ ლენინგრადის დაცვაში, რისთვისაც ლენინის ორდენი მიენიჭა. ესპანეთში დღესაც ახსოვთ გულადი კაპიტანი.

მსგავსი მოვლენებით არის აღბეჭდილი ა. ქათამაძის ბიოგრაფიაც. ქუთაისელი ჭაბუკი, სამხედრო აკადემიის მსმენელი 27 წლისა გაემგზავრა ესპანეთში. აქ სიმამაცისათვის რამდენიმე საბრძოლო ჯილდო დაიმსახურა. შემდეგ კვლავ შეებრძოლა ფაშიზმს — ამჯერად საბჭოთა კავშირის დასაცავად. სევასტოპოლის დაცვის დღეებში ა. ქათამაძე ქალაქის კომენდანტი იყო. ახლა იგი პერსონალური პენსიონერია.

ამ მამაცი ადამიანების თავგადასავლის თხრობას გ. ჩანტლაძე მოულოდნელად ლექსებით ამთავრებს. ამ ლექსებსაც აქვთ თავიანთი ამაღელვებელი ისტორია, რომელიც პარტიის ცნობილი ვეტერანის დავთი ლომაძის ცხოვრებას უკავშირდება. ეს კაცი, რომელმაც რევოლუციონერ-ინტერნაციონალისტის დიდი გზა განვლო — ე. ტელმანის მხარდამხარ იბრძოდა ჰამბურგის ბარიკადებზე, მრავალ წელს მუშაობდა საზღვარგარეთ, გონებით ყოველთვის მშობელ მიწასთან იყო დაკავშირებული. და აი, ამის კიდევ ერთი დასტური — ლომაძის ქაღალდებში არის ეგრეთ წოდებული „ბასკური ფოთლი", — გვიამბობს პატივცემული გრეტა. აქ ვიპოვეთ გასაოცარი ფურცლები — კომბილი პოეტის, წარმოშობით ბასკის შაბიერ ლისარდის ლექსები, რომლებიც ლომაძეს [illegible] ავტორის მშობლიური ენაზე [illegible] ერა! იმ წლებში, როცა ფაშისტები ბასკურად ლაპარაკასაც კი კრძალავდნენ, უშიშარი ლისარდი ბარიკადებზე კითხულობდა თავის ლექსებს. მასაც ლორკას ხვედრი არგუნა ბედმა — ესპანელი ფაშისტები სასტიკად გაუსწორდნენ 36 წლის პოეტს. ლომაძეს კი მისი ლექსები შინ ჩამოიტანა და ძვირფას რელიკვიად ინახავდა მრავალი წლის მანძილზე.

ლექსების თავისუფალ თარგმანში არის სტრიქონები სულიერ სილამაზეზე, რომელიც ვეფერ თავის სითბოს უწოლადებს გაყინულ ნერგებს, იმაზე, რომ მხოლოდ და მხოლოდ მას აქვს, ბუნების მსგავსად, აღორძინების უნარი. ნახევარი საუკუნის წინათ დაწერილი ეს ლექსები ჩვენს დროსაც ეხება.

ი. სუდაკოვა,
საქინფორმის კორ.

რესპუბლიკის უმაღლეს სახწავლებლებში ახლა ზამთრის სესიებია. ამის გამოა, რომ ამ დღეებში მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ხალხმრავლობაა. როგორც საერთო სამკითხველო, ისე ტექნიკურ დარბაზებში ჭირს თავისუფალი ადგილის პოვნა.

სურათებზე: ბიბლიოთეკის საერთო სამკითხველო დარბაზი; ქვემოთ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ნ. გვილავა კატალოგში ეძებს საჭირო ლიტერატურას; მარჯვნივ — თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი მ. არაბიძე.

ს. კილაძის ფოტო.

ხანძარი დოვლათის მტერია

მთავარია პროფილაქტიკა

ჩვენს რესპუბლიკაში 20 იანვრიდან მიმდინარეობს სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებათა გაძლიერების ერთთვიური. მისი მოშზადებისა და გამართვის შესახებ გვესაუბრება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი ჯ. სურმავა.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ საქართველოს მოწინავე პოზიციები ვერ უკავია ჩვენს ქვეყანაში ხანძრების ინალიტიკაში. პროცენტული თანაფარდობის მხრივ რესპუბლიკაში ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის მაჩვენებლები საკავშიროზე ნაკლებია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მითითებანი დიდად გვეხმარება მუშაობაში, მაგრამ ნაკლოვანებები და ხარვეზები მაინც ჯერ კიდევ ბლომად გვაქვს. ეს ძირითადად პროფილაქტიკურ საქმიანობას ეხება.

სწორედ ამის გამოც არის, რომ ერთი და იგივე სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებში ხშირად ხდება ხანძრები და დიდი მატერიალური ზარალი მოსდით. ასეა ცეკავშირის, ვაჭრობის, მსუბუქი, ადგილობრივი, ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის, განათლების სამინისტროთა სისტემებში. სახალხო მეურნეობაში ხანძრებით გამოწვეული ზარალის ორ მესამედზე მეტი სწორედ ამ ორგანიზაციების საწარმოებზე მოდის. ყველაზე მეტი ზარალი მაინც ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ობიექტებს აქვთ.

რა თქმა უნდა, უფრო ხშირად ხანძრებს იწვევს სათანადო წესების დაუცველობა, უწესრიგობა, გულგრილობა, როცა ადგილებზე არ ენადგენებათ ხოლმე კოლექტივის მიერ შექმნილი დოვლათის ბედი. ერთი სიტყვით, ყველგან რომ ზუსტად სრულდებოდეს ზემდგომი ორგანოების მითითებები, მოთხოვნები. სახანძრო უშიშროების დადგენილი ნორმები და წესები, ამდენი ხანძარი არ გაჩნდებოდა სამრეწველო საწარმოებში, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და კულტურის ობიექტებში, საცხოვრებელ სახლებში.

როგორც ფაქტები მოწმობს სხვა სამინისტროებიცა და უწყებებიც ნაკლებად იწუხებენ თავს სახანძრო უსაფრთხოების ამოცანების გადაწყვეტისათვის. გარდაქმნა და დაჩქარება არ იგრძნობა მათს მუშაობაში.

არანაკლებ შემაშფოთებელია ხშირი ხანძრები საცხოვრებელ სექტორშიც. ბევრი მოქალაქე კვლავინდებურად ყურადღებას არ უთმობს სახანძრო უსაფრთხოების წესებს, ოჯახში გაუფრთხილებლობის შედეგად აჩენს ხანძარს. მრავალია იმის ფაქტი, როცა არა მარტო საცხოვრებელი სახლი დაიწვა, არამედ ადამიანებიც დაშავდნენ. პირდაპირ გული გეტკინებათ, რესპუბლიკის სიდამწვრის ცენტრში ცოტა ხნით მაინც რომ შეიარო. როგორც მოგეხსენებთ, სიდამწვრის განკურნება რთული საქმეა, მედიცინის მუშაკთა დიდი მეცადინეობის მიუხედავად ხშირად ავადმყოფი ხეიბრად რჩება. მაგალითად, მარტო შარშან ამ ხანძრის შედეგად ასზე მეტი კაცი მოხვდა, ზოგს ბენზინი აუფეთქდა, ზოგს გაზი, ზოგი კოცონის გაჩაღებისას დაშავდა... და ცხადია, ყოველი ამ შემთხვევის უკან უმეტესწილად ადამიანის დაუდევრობა იმალება.

რესპუბლიკაში მარტო 15 დღეში ცეცხლმა რამდენიმე კაცი შეიწირა; მათ შორის არიან უმწეო მოხუცები და ბავშვები. ტრაგიკულად დასრულდა სამი მცირეწლოვანის სიცოცხლე წითელწყაროს რაიონის სოფელ ოზაანში. ამ უბედურების მიზეზი ის გახლდათ, რომ უმთავლესობრივად იყენენ მიტოვებული ავადმყოფი მოხუცები და ბავშვები, არ გაითვალისწინეს სახანძრო უსაფრთხოების უმარტივესი წესების დაცვაც .კი.

ასეთ სტატისტიკურ მონაცემებსაც მოვიყვანთ: საქართველოში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე 9 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი და ბინა დაიწვა. ამა, წარმოიდგინეთ რამდენი სახსრები, შრომა, ნერვიულობა იყო საჭირო იმისათვის, რომ აღდგენილიყო, გარემონტებულიყო და აშენებულიყო საცხოვრებელი ბინები, დაზარალებულ ადამიანებს ნორმალურად ეცხოვრათ.

სწორედ ასეთი არასახარბიელო მდგომარეობა გაითვალისწინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და მიიღო გადაწყვეტილება 1987 წლის 20 იანვრიდან მოეწყოს სახალხო მეურნეობის სფეროში და საცხოვრებელ სექტორში პროფესიულ ოსტატობას, სიმტკიცესა და ვაჟკაცობას იჩენენ საგაზო-საექსპლოატაციო და სარემონტო-სამშენებლო უბნების მეჭანიზატორები ფ. ლაზიაშვილი, თ. ნადიბაიძე, შ. ამირიძე, ი. არაბული, რ. კობაიძე, შ. ბურუშიძე და მრავალნი სხვანი.

მთელ რიგ რაიონებში ნამეურნეობის დაძლევა უხდებათ ღელმდე. ზვავის ჩამოწოლის საშიშროება ხომ ჯერ კიდევ არის აქ. მაგრამ მოსახლეობასთან და რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანიზაციასთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით, დარწმუნებული ვართ, მთ შედეგებსაც მინიმუმამდე შევამცირებთ. (საქინფორმი).

ყაბალი

საფურნირო ორბიტა

მძლეოსნობა. აშშ-ს ქალაქ ჯონსონ-სიტის (ტენესის შტატი) დარბაზში გამართულ შეჯიბრებაზე მსოფლიო მიღწევა გაუმჯობესა ბატრ რეინოლდსმა (აშშ). იგი 600 იარდაზე რბენაში იყო უძლიერესი — 1.06,87.

სიმფეროპოლში დამთავრდა საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალური ეტაპი. აქ მოსპარეზე საქართველოს 8 მძლეოსნიდან 4-მა ფინალისკენ გაიკაფა გზა. ფინალისტთა შორის მოხვდნენ სოხუმელი ტარიელ ბიწაძე, რომელმაც ბირთვი 18,39 მეტრზე ჭკრა და ნახევარფინალში პირველი ადგილი დაიკავა, თბილისელი ვიაჩესლავ ვასილიევი (60 მეტრზე თარჯრბენში მეორე იყო), თელაველი მურად მაზახიროლი (სგრძეზე ხტომაში იყო მეორე) და თბილისელი ეგვენი პერშინი (60 მეტრზე თარჯრბენში მეოთხე იყო).

ცურვა. საფრანგეთის ქალაქ კანში გამართულ საერთაშორისო მეჯიბრებაზე მსოფლიო ჩემპიონმა თამარ კოსტაკემ (რუმინეთი) 25-მეტრიან აუზში 50 მეტრი თავისუფალი სტილით დისტანცია 25,08 წამში გასცურა და 0,2 წამით გაუმჯობესა მსოფლიო მიღწევა.

ჩოგბურთი. მელბურნში დაწყებულ ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა და პირველობისათვის ბრძოლა ერთობ შეუპოვარია. საკმარისია ითქვას, რომ უომბლდონის ჩემპიონს ბ. ბეკერს (გფრ) მეორე წრეში ძალიან ძნელი ბრძოლა გადახდა თავს ნაკლებ ცნობილ ჩოგბურთელ ბ. დაიკთან (ავსტრალია). ბეკერმა მხოლოდ ხუთი პარტიის შემდეგ შეძლო საბოლოო გამარჯვების მოპოვება — 6:7, 6:1, 6:4, 6:7, 6:2. ზომდევნო წრეში ბეკერმა იუგოსლავი ს. ფიეოინოვიჩი დაამარცხა—6:3, 6:3, 3:6, 6:3. მოულოდნელი იყო ფრანგი ა. ლეკონტის წაგება პ. ანაკონთან (აშშ) — 6:1, 6:4, 3:6, 4:6, 8:10. ჯერჯერობით მეოთხედფინალისკენ გზა გაიკაფეს ი. ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია), ს. ედბერგმა, ა. იარიდმა (ორივე — შვეიცია) და მ. მეჩირმა (ჩეხოსლოვაკია).

ურუგვაის ქალაქ პუნტა დელ ესტეზე გამართული საჩვენებელი მატჩი ჩოგბურთის ვეტერანმა, უომბლდონის ხუთგზის ჩემპიონმა ბ. ბორგმა (შვეიცია) დაამარცხა არგენტინის ერთ-ერთი უძლიერესი სპორტსმენი ხოსე-ლუის კლერკი — 4:6, 7:5, 6:4, 6:3.

ველოსიპორტი. ლვოვში დამთავრებულ სპორტერთა საკავშირო შეჯიბრებაზე ქალთა შორის პირველი ადგილები (მოიპოვეს გ. ცარიოვამ (სპრინტში და ომნიუმში) და ნ. ანგელიუკმა (30 წრეზე ჯგუფურ რბოლაში); ვაჟებში უძლიერესნი იყვნენ ო. ბორზუნოვი (სპრინტი), კ. ხრაბროვი (100 წრეზე ჯგუფური რბოლა) და ი. შჩელინსკიმ (ომნიუმი).

ძიუდო. გორში დამთავრებულ საქართველოს ჩემპიონატზე წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები მოიპოვეს ჯ. მასურაშვილმა (გორი), დ. დემიტრაშვილმა, ვ. ჯაფარიძემ (ორივე — თბილისი), ე. გოგიჩაშვილმა (გორი), ლ. ნაკანმა (თბილისი), გ. მუმლაძემ (რუსთავი) ა. გუბელაძემ (ქუთაისი) და ვ. პარუნაშვილმა (თბილისი; აბსოლუტური კატეგორია).

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ

380006, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96.
ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-93-09, ᲛᲝᲓᲣᲚᲘ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡᲘ — 99-66,10, ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲙᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲡ — 93-20-34, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ — 93-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲗᲐ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲤᲘᲚᲔᲢᲝᲜᲘᲡ — 93-22-93, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲬᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲜᲕᲐᲚᲘᲓᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 93-28-54, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ — 93-95-24.

ᲡᲐᲥᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲝᲩᲣᲛᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — 14-27-37; ᲒᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ—2-03-15; ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ — 2-28-40; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ — 5-56-36; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 3-12-09; ᲤᲘᲗᲘᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲪᲐᲘᲒᲣᲚᲘ — 25-32.

ᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲒᲑᲐᲠᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

22 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია". 9.05 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.15 — „გამარჯობა, მუსიკავ!" გადაცემა ბავშვებისათვის. 10.00 — „ვ. ი. ლენინის პორტრეტის შტრიხები". მეოთხე ფილმი. 11.10 და 17.00 — ახალი ამბები. 17.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „აქ, წითელ პრესნიაზე". 17.40 — უკრავს ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრი. 18.10 — თანამედროვე მსოფლიო და მუშათა მოძრაობა. 18.40 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 19.25 — მულტფილმი. 19.40 — ამ დღეების ფოსტა. 20.10 — ახალი ამბები. 20.20 — ტელეფილმ-სპექტაკლი „შემხვედრი ზოლი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — მსოფლიო კინოკამერაში. 23.40 — დღეს მსოფლიოში. 23.55 — ფილმ-კონცერტი „დამიბრუნე მუსიკა".

მეორე პროგრამა. 9.15 — დილის ვარჯიში. 9.35 და 10.35 — ზოგადი ბიოლოგია. X კლასი. 10.05 და 15.00 — ესპანური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ისტორია. ლენინური „ისკრა". 11.35 და 12.00 — ზოოლოგია. VII კლასი. 12.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 12.55 — მხატვრული ფილმი „გოგოს". 14.30 — ისტორია. X კლასი. 15.30 — ახალი ამბები. 15.35 — სოფლის საათი. 18.45 — ახალი ამბები. 19.00 — მუსიკალური კიოსკი. 19.30 — მოგზაურთა კლუბი. 20.30 — რიტმული ტანვარჯიში. 21.00 — „ბილი ნებისა, პატარებო!" 21.15 — კ. ვებერი. ოპერა „ოპერონის" უვერტიურა. ფ. მენდელსონ-ბარტოლდი — კონცერტი ვიოლინისა და ორკესტრისათვის. 22.00 — „ვრემია". 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „პიკის ქალი". 0.05 — ახალი ამბები.

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ

22 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია". 9.10 — მოამბე. 9.45 — ჩვენს დიდ სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ბათუმი" და „ბზიფის ხეობა". 10.20 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჩემი ბედი". II სერია. 11.40 — ხალხური შემოქმედება „თვალთაი". 12.20 — დოკუმენტური ფილმები: „ვლადიმერ ულიანოვი" და „წუთი ლენინთან". 13.00 — პიმტურიენტებისათვის. ბიოლოგია. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — მასწავლებლის საათი. ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — განცხადებები. 17.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ერთი სიყვარულის მოთხრობა". 17.30 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „ვილოცავთ!". 18.00 — აერომრეწვი მოქმედებს. 18.20 — „საუნჯე". 18.45 — ქართული კინოს ისტორიიდან. მხატვრული ფილმი „საკანი № 79". 20.00 — მოამბე. 20.35 — „პოეზია" (კითხულობს გ. ხარაბაძე), გადაცემა მეოთხე. 20.50 — „ტელემაყურებელთა საყურადღებოდ" (როგორ მივიღოთ ტელეგადაცემები ფეცემიტრული დიაპაზონის არხით). 21.15 — ლიტერატურული გადაცემა. „მაშ გაუმარჯოს დაუჭკნობელს სიჭაბუკესა" (ი. ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისათვის). 22.00 — „ვრემია". 22.40 — მსოფლიო კინოკამერაში.

მეორე პროგრამა. 16.40 — მხატვრული ფილმი „მინდა მოვიდეს". 17.40 — განცხადებები. 17.45 — დოკუმენტური ფილმი „10 წელი ირკუტსკში". 17.55 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია.

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ

22 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **პირველი სიყვარული** (29-ე აბონ. I წარმოდგენა); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ჯაყოს ხიზნები**; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **სიმღერა მაინც დამიტოვეთ**; მინიატიურების სახელმწიფო — **ნაკრები**; მეტეხის — **მგზავრები**; ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი — **თოვლის ბებრის ზღაპრები**. ანსამბლი „ოვერია".